



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 353

14/02/2018

ქალაქი ბათუმი

353-05-4-201802141106



შ.პ.ს „ნომიგია“-ზე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის ანაზღაურების შესახებ

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაშიძის 2018 წლის 8 თებერვლის №425-05 მოხსენებითი ბარათით განიმარტა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2017 წლის 04 აგვისტოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისა და შ.პ.ს „ნომიგია“-ს შორის გაფორმებული №188 ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს „ნომიგია“-მ 2018 წლის 11 იანვარს დაასრულა სოფელ მასაურაში სამანქანე გზის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, რომლის სრული სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 410301,99 ლარს. მშენებელ კომპანიას 2017 წლის 04 დეკემბრამდე ასანაზღაურებლად უნდა წარმოედგინა დოკუმენტაცია, ვინაიდან ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა შესრულებული სამუშაოები ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში აღნიშნული ღონისძიება დარჩა დაუფინანსებელი 59494,95 ლარის ოდენობით. მიმდინარე წელს, რომ განხორციელდეს აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ამისათვის საჭიროა გამოიცეს სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება გაწეული სამუშაოს ანაზღაურება წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების კლების მუხლიდან.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაშიძის 2018 წლის 8 თებერვლის №425-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შ.პ.ს „ნომიგია“-ზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 59494,95 ლარის ანაზღაურება მოხდეს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) განახორციელის ქმედითი ღონისძიებები თანხის გადარიცხვის უზრუნველსაყოფად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა